

140

1976



**12**  
1976

**30 მუხეზი**

1976  
წილსა 41200

1976



პირველი 2

წილსა 148850

1975



წილსა 7000



1946



წილსა 15295

1956

10000



1936



1926

წილსა 1000





1976 წლის 19 დეკემბერს საბჭოთა კავშირის  
კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტე-  
ტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლეონიდ  
ილიას ძე ბრეჟნევს დაბადების 70 წელი შეუს-  
რულდა. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური  
რესპუბლიკის პიონერები ბულითადად და მსურვა-  
ლად ულოცავენ ძვირფას ლეონიდ ილიას ძეს  
დაბადების დღეს.

43045



## ქურნალ „პიონერის“ რედაქციას

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭო ქურნალ „პიონერის“ რედაქციის მუშაკებს, ავტორთა აქტივსა და მკითხველებს გილოცავთ ჩვენი მოსწავლე-ახალგაზრდობის საყვარელი ქურნალის დაარსებიდან 50 წლისთავის სახელოვან იუბილეს.

ნახევარი საუკუნეა ქურნალი „პიონერი“ ნათელი ფერებით ასახავს რესპუბლიკის პიონერთა სისხლსავე, მგზნებარე ცხოვრებას რომელიც აღსავსება ბეჯითი სწავლისა და შრომის, ძიებისა და შემოქმედების რომანტიკით, აქტიურად უწყობს ხელს ნორჩი თაობის ნიჭისა და შემოქმედებითი უნარის გაფურჩქვნას, აძლევს მას კომუნისტური მრწამსის ჩამოყალიბებისათვის საჭირო ძვირფას სულიერ საზრდოს.

ქურნალში გამოქვეყნებული მასალები ცოცხლად, საინტერესოდ ეხმარებიან მოზარდი თაობის ინტერესთა სფეროს, ღრმად წვდებიან მის სულიერ სამყაროს, აღვივებენ მოსწავლეებში ცოდნის გაღრმავებისა და აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობის სურვილს; ზრდიან მათში სამშობლოს, ხალხის პარტიის წინაშე მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის, სიკეთისა და პატიოსნების, საქვეყნო საქმიანობის უანგარო სამსახურის მაღალ ზნეობრივ გრძობებს.

საქვეყნოდ ცნობილი მწერლების მხატვრული ნაწარმოებები, მეცნიერების, საზოგადო მოღვაწეებისა თუ ჩვენი დღეების საუკეთესო მშრომელი ადამიანების პუბლიცისტური გამოსვლები, რაც ასე ხშირია ქურნალის ფურცლებზე და მის ერთ-ერთ სა-

უკეთესო გრადიციად იქცა. სწორედ მამულის უანგარო სამსახურის, სწავლისადმი, შრომისადმი, საზოგადოებრივი საქმეებისადმი კომუნისტური დამოკიდებულების, ნამდვილი მებრძოლი ლენინელის თვისებების საუკეთესო სკოლაა ჩვენი ნორჩი თაობისათვის.

მოზარდი თაობის აღზრდა პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის, ჩვენი საბჭოთა სამშობლოს ხალხთა ურდვიე მეგობრობის მაღალი გრძობით, პიონერის საზღვიმო დაპირებისადმი, ჩვენი ხალხის, კომუნისტური პარტიის, ლენინური კომკავშირის სახელოვანი გრადიციებისადმი ერთგულების სულისკვეთებით, პატიოსნებისა და სიმატლისათვის ბრძოლის, ყოველგვარი ნაკლოვანებისადმი შეურიგებლობის განწყობილებით, — ასეთია დღეს და მომავალშიც, ასეთი უნდა იყოს ქურნალის მთავარი თემა და უპირველესი საზრუნავი, რითაც იგი, თავის წვლილს შეიტანს ნორჩი ლენინელების — ჩვენი ქვეყნის მომავალი მშენებლების აღზრდის, მათი მოქალაქეობრივი ჩამოყალიბების დიდმნიშვნელოვან საქმეში.

საქართველოს ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭო უსურვებენ ქურნალის რედაქციას, მის ავტორთა კოლექტივსა და მკითხველებს კიდევ უფრო მჩქეფარე, დაუდგრომელ, შთამაგონებელ შემოქმედებით საქმიანობას და ახალ წარმატებათა მოპოვებას ამ დიდი და საპატიო მისიის შეტრულების გზაზე.

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური  
კომიტეტი,  
საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის  
ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის  
რესპუბლიკური საბჭო





# პიონერი

12

დაქვეყნარი

1976

საბჭოთა კავშირის კავშირის ვ. ი. ლენინის  
სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის  
რესპუბლიკური საბჭოს  
თავალმჯობინი საპატიო ნიშანი

ბათუმი 1926 წლისათვის

საქ. კავშირის გამომცემლობა



რაა რწმენა?  
 იქნებ — დროშა,  
 იქნებ — კაცი,  
 იქნებ — მიწა...  
 იქნებ —  
 ყანა მოშრილვე;  
 (ფრთხილად,  
 არვიც გადავიწვას!).  
 რწმენა ყოველ ჩვენთაგანის  
 გულშია და  
 მამში არი...  
 თავის დროზე —  
 დღემილია,  
 თავის დროზე —  
 ტაში არი!  
 აუტანელს  
 რომ აიტანს,  
 ვაუძლეველს  
 რომ გაუძლებდ...  
 ქრებატელად რომ დავივლის,  
 რაიც გახატია გულზე...

### აქთანილი პერსონიქა

კორნაბინელთა თაო.  
ბაბს მაღვანება მს კო.  
მა-ორატორია.

# რწმენა

რასაც ვახედავ,  
 ეს ყველაფერი —  
 მინდვრებია თუ დიდი მთებია, —  
 ბრძოლის ვარემე,  
 შრომის გარემე  
 შენთვის არავის მოურთმეგია.  
 რასაც ვახედავ,  
 ეს ყველაფერი —  
 ცაა თუ  
 ცაში რკინის ფრთებია, —  
 სისხლის გარემე,  
 ოფლის გარემე  
 შენთვის არავის მოურთმეგია.  
 რასაც ვახედავ,  
 ურომლისოდაც  
 გულს რომ ვერაფრით მოუთმენია, —  
 დამამსხოვრე,  
 რწმენის გარემე  
 შენთვის არავის მოურთმეგია.

რაა რწმენა?  
 ზოგჯერ — სიტყვა,  
 ზოგჯერ — „კი“ და  
 ზოგჯერ — „არა“!  
 ზოგჯერ — გულიც  
 (ვაჰ, თუ ერთხელ,  
 თენდაც ერთხელ ვაგებზარა!).

თუო წამება,  
 იყო სიბნელე,  
 ეკალ-ბარდები ეფინა გზებს;  
 იყო ცაც,  
 მაგრამ ცაზე ვერავინ  
 ველარ ამჩნევდა ბრდღვილა მზეს.  
 სინათლისაგან ასე ვარიყულთ  
 ენატრებოდათ ამოსვლა მზის:  
 იყო ბრძოლები,  
 მაგრამ არ იყო  
 ზღვარი  
 ჩავრულთა უდიდლო გზის...  
 ტანჯვისგან ძალამ იმატა მკლავში,  
 აღამიანი წამოდგა ზე:  
 მზე ამოვიდა  
 ცხრასჩვიდმეტში,  
 რეგოლუციად აღმოხდა მზე..

რეგოლუცია —  
 იმედი ხვალის,  
 დნაჯერულების არსობის პური...  
 ჩუ!..  
 ტრიბუნაზე  
 ლენინი არის  
 და  
 მიუპყრია მსოფლიოს ყური.

კომმა-  
 ორატორია  
 „რწმენა“  
 „პრონაის“  
 კონკურსზე  
 პრამია  
 დამსახურა.



გარინდებულო გულგაკეი უსმენს  
 და მხსიეული იღვრება სითბო:  
 — ამღენი ტანჯვა ეყოფა რუსეთს,  
 რადგან რუსეთი  
 თქვენა ხართ თვითონ!  
 ხელს თქვენს ნაოფლარს  
 ვერავინ ახლებს,  
 თვითონ ნუ მისცემთ ამის

უფლებას.  
 და ურიგებდა ლენინი ხალხებს  
 ნუგეშს,  
 მიწას და  
 თავისუფლებას!..

ჯერ იმედები აკვანში იწევა,  
 როცა აკვანთან ცეცხლში იალა.  
 ხალხისეული იწეოდა მიწა,  
 ავსებდელიუ ყველა ფილა:  
 რას წართმეგდენენ მუშას და  
 გლუხაკს, —

თვისას იცადენენ,  
 სხვისას კი არა...  
 კოისპირული სისხლის წვიმებში  
 ქვეყანას ედგა დრო სამინელი.  
 სამოქალაქო ომის ლეგენდას  
 ქმნიდა მამაცი კორნაბინელიც.  
 იყო მესანგრე,  
 იყო მზევრავი  
 და შემართება ჰქონდა ლომური:  
 როგორც რწმენა და  
 როგორც ნამუსი,  
 თავზე ეხურა ბუდიონური.  
 უჭირდა თვალთ,  
 უჭირდა ხმალთ...  
 უჭირდა...  
 ჰაი, როგორ უჭირდა!  
 ფეხზე ანდგარი ხედებოდა სიკვდილს  
 მალამამართულ რკინის მუქითა.

მოიმედენი საკუთარ მაჯის,  
 საკუთარ ტვისის,  
 საკუთარ გზების, —  
 საკუთარ სისხლით,  
 საკუთარ გარჯით  
 ახალ ცხოვრებას  
 ვერწავდით გზნებით.  
 ჩვენ მივდიოდით წინა და მალა,  
 გასა არეულ ნაბიჯთა რწმენით?  
 ახალ ცხოვრებას,  
 სამყაროს ახალს  
 ჩვენ ვაშენებდით უდიდეს რწმენით.

სამოქალაქო ომის თაობას  
არ ვაუხდით ფარაჯა ძველი;  
ახალ სართულებს,  
ახალ გვიანტებს,  
ქმნიდა მამაცი კორჩაინელიც.  
იყო შებაღე  
და კალატოზი,  
გლხი — გაძრე და  
მუშა — შშრომელი;  
უკვდავების წყლის ქმნიდა სთავეს,  
რომ ყოფილიყო დაღუპობელი.

ზოგიერთები შურით და ჭაგით  
ვერ ეტეოდნენ საკუთარ კანში,  
ოღოც ხედავდნენ რუკაზე გაშლილ  
საბჭოთა მიწას,  
საბჭოთა კავშირს...  
და  
შემა,  
როგორც მეორედ მოსვლა,  
წარღვნიდა მოვარდა ტყვეების  
თქემი.

ეძახდა ფრონტი მუშას თუ  
შკასანს  
ორმოცდაერთის იენისის თვეში...  
ხალხთა ძაბილი სამყაროს მიწვდა,  
ულმობელ რისხვად გაღვივრალა:  
— ვრცელია ჩვენი სამშობლო-მიწა,  
მაგრამ ზედმეტი —  
გოჯიც კი არა!  
და იყო  
შეშინით ავსილი სული,  
ოფელით და სისლლით —  
გულმკერდი სველი;  
იმ ლუგენდარულ  
და სამამულო  
ომში  
იბრძოდა კორჩაინელიც.  
იყო ფრონტელი  
და პარტიზანი,  
ზურგის სიმაგრე  
და სამიჯველი.  
ულამაზესი ჰქონდა მიზანი,  
რომ ყოფილიყო ყველაგან პირველი:  
უჭრიდა მუხლი,  
უჭრიდა მკლავი...  
უჭირდა...  
ჰაი, როგორ უჭირდა!  
წელგამართული ხედებოდა  
სიკვდილს  
მალამუმართულ რკინის მუჭითა.  
... აუწყებელი იყო წვალება  
და სისხლიანი —  
გულის იაზა,  
კვებუნბოლით ერთურთს თვლებით:  
— მკერდით დავეცეთ,  
სულით კი — არა!  
მამულისათვის სიცოცხლის წლები  
მეტნაკლებობით არ გვიხშია.  
(თითქმის შეხნულა იყო ოლგე,  
თითქმის შეხნულა იყო ზოია!).  
საბრძოლელთა იყო ტყეები;  
ტყეების იყო ნაყარტუტები,

და გამურული შავი ღღებები...  
ჩვენ კვებუნბოლით და  
მაინც ვუტრეველით,  
რადგან ვიცოდით,  
და კიდევ ახლა,  
როგორც გვჯეროდა.  
როგორც ვვწამდა:  
ქუჩებს მოედო სიმღერა ხალხთა,  
გზებს  
სიხარულის ცრემლები რწყავდა...

რაა რწმენა?  
იქნებ სისხლის  
ანდა გულის აფეთქება...  
იქნებ მზერა,  
რომელმაც  
მტრის ტანებშიც დაფეთდება.  
ჰაი რწმენა?  
ხან — ღიმილი,  
ხან — სიცილი,  
ხანაც — ცრემლი...  
ხან — მიზანი, —  
მავთულსლართზე  
შისველი რომ ვადაძვრები.  
ძალა,  
რაც მოგაგონებს  
საზვიამ დროშის შრიალს...  
საოცარ რომ ვალამაზებს  
სიცოცხლეშიც,  
სიკვდილიც.  
მთელი კვირის უძინარი,  
როცა თვალს მინც ახელ...  
იჭრებუქში და  
ქარტხილში  
სიმღერას რომ შემოსძახებ.  
თავის დროზე მოქნეული  
ხმალი და წვრქვეა...  
რაც ვალალებს,  
რაც ვამალალებს,  
რაც ვამაგრებს —  
რწმენა ჰქვია!

და მივაშურეთ ნანატრ მშვიდობას,  
სულმოუთქმელად

სულ რომ გვეძახდა:  
ზოგი — კამალზე,  
ზოგი — დაზგასთან,  
ზოგი — მერთან და  
ზოგი — ვენახთან.  
გაერთიანდა მტკიცე ხელები,  
ხელები  
ჩვენი მოძმე ერების;  
ისეც დაიწყო ახალშენება  
ბედნიერების,  
მშვენიერების.  
მამულის ფიჭის და  
მამულის ძაბილს,  
გზებს მამულისას  
ოროვარ ასცდები.  
მამებთან ერთად მხარდამხარ  
იდგენ

კორჩაინელი ახალგაზრდებიც.  
იყვნენ სიმტკიცე ხარაჩოების,  
ღილი სიმაღლის ძალა და ეშხი.  
მათ მოიყვანეს ყამირზე პური  
და ყარაყუმი —  
მადიანის თქეში...  
ცოტაც და...  
ბამიც თავისთა იტყვის,  
ცოტაც და...  
ნეგურს სინათლედ ვაქცევთ...  
და ვასაძლებიც რომ ვაზდეს რამე —  
მამულისათვის  
ჰაი, რომ ვაძვლებთ!

ცხელი ტყვიით დაცხრილული  
სასწაულით მორჩა გმირი...  
კოპაქშირი კორჩაინობს,  
კომკავშირობს კორჩაინი...  
“წიხი!” —  
გაპყვირის  
მზის და სისხლის  
ენურგით ავსებულ...  
უფიჯოვასეს სახელს  
მამულს  
ასე ქმნის და  
ასე უვსს,  
თვალეებს,



როგორც ცოცხალ მზებებს,  
ანათებს და  
აბრიალებს;  
დროშას ფიცავს,  
დროშას კოცნის,  
დროშა სწამს და  
აფრიალებს.

დიდებულია —  
მხარამხარ მღერის  
აღამიანი სხვადსხვა ერის;  
დიდებულია —  
მხარამხარ იღვწის  
აღამიანი სხვადსხვა მიწის;  
სხვადსხვა კუთხის,  
სხვადსხვა მხარის  
ქალი და კაცი  
მხარამხარ არის.  
ხანდახან მზის და  
ხანდახან მთვარის  
უღვა და შუქი  
უმატებს ხალისს...  
და  
ერთმანეთის  
გულისფიცარზე  
ყური სსმენად მიდებულია:  
აღამიანი მღერის მიწაზე —  
დიდებულია!  
დიდებულია!..

რა გზები განვვლით,  
გზები რა ძნელი,  
ბევრზე რამდენჯერ ეკიდა ბელი...  
მაინც მოველით,  
მაინც გავძელით,  
რადგანაც  
რწმენა მოგვეცა მეტი.  
რადგანაც  
რწმენა მოგვეცა მეტი,  
რწმენა,  
რომელიც ბელადმა მოგვეცა,  
და უფრო მეტიც. —



საქართველო  
საბჭოთა კავშირი

ის გველდა გვერდით,  
სამშობლოსათვის კვედლებოდა  
როცა.

და უფრო მეტიც, —  
ის გველდა გვერდით  
ჭესის თუ  
ლექსის შენების დროსაც  
და ზეიმებზე,  
როგორც გოლიათს  
გვირა ჩვენი გაშლილი დროშა;  
და უფრო მეტიც, —  
ის გველდა გვერდით,  
როდესაც კაცი გაფრინდა ცაში...  
დაბრუნებისას, თითქოს ეხედავდით.  
თვითონ ბელადმა დაუკრა ტაში.

რწმენა  
ყველაზე კაცური კაცის...  
რწმენა,  
რომელიც  
სისხლად გვიღვალავს;  
რწმენა, რომელიც  
არჩენს იარას;  
რწმენა, რომელიც  
ახლავს სიმღერას,  
სიტყვას,  
საჭრეტელს,  
ნამვალს,  
იარაღს.



რწმენის გარეშე არც ერთი წამი,  
არც ერთი კაცი —  
რწმენის გარეშე!  
მხოლოდ და მხოლოდ  
დალოცვილ რწმენით  
ვძლიეთ ათასგვარ  
ავღარს, ქარიშხალს.  
მისი სიცხადე, მისი სიმკვეთრე  
მეგობრად გვახლავს  
გვათოვს თუ გვაწვევს;  
ჩვენ გვაარსებებს  
რწმენა სიყვითის,

ამ ქვეყანაზე გზა მრავალი:  
ზოგი — დიღია,  
ზოგი — პატარა,  
დი-სით სავალი,  
ლ-მით სავალი,  
ზოგან — ლმერთია,  
ზოგან — სატანა...  
სულ სხვაა ჩვენი —  
დიდება მოსავს,  
არც გვინატრია არასდროს  
სხვა გზა;  
რწმენა,  
რომელიც მამულმა მოგვეცა,  
საუკუნეებს გაჰყვება საგზლად.

# ცოდნის პოსინაკულა



როდესაც ხელში „პიონერს“ ვიღებ, ჩემი სიჭაბუკე მახსენდება. ორმოცდაათი წლის წინათ ქაბუტე არ ვიყავი, მაგრამ „პიონერის“ წინამორბედი „ჯეჯილი“ და „ნაკადული“ ხომ ამ საქმეს ემსახურებოდნენ. მაშინ ამ დიდ საქმეს, ბავშვებისათვის ლიტერატურის შექმნას, ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლისა და ნინო ნაკაშიძე ედგნენ სათავეში. შესა-

ნიშნავი ქალაქი გვეყოფდნენ, მეც დავსწავლი. მათი თავი ნაპირზეა. წითი-ამ დემუკალი, ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლისა, ნინო ნაკაშიძე და სხვანი გვეყოფა საამაყოდ და თავის მოსაწონებლად. მასთვის, ახალ-ნაქციაში თამაშად შევადგინე კარი და პირველ ხარისხის მოგზაურობის აუქცია დაებეჭა. ვიღაც და აი ახლაც ეს დრო მახსენდება — ქაბუტეში ჩემი და ქაბუტეში კი ვიღაცის და ახლაც დღესაც ვუცვლელია. ამ წითელფერსავე დროსა ვერ-ნაღამა დამატრია ჩვენი მთა-ბარი და ვუცვლდნენ მას მხიარულად ხელებიან თვალეუბუნა ჩვენი გოგო-ბებიები. მართლა წითელყელსახვევიანი, მა-

აკადემიკოსი

ოდნა პიონერები, იმე-ლი და სიხარული ჩვენი, ჩვენი სამშობლოს მომავალი — სამშობლო ხომ პირველ რიგში ხალხია! სიხარულით ხვდებიან, რადგან იციან, რომ მათი საყვარელი ეურნალი ახალ სიხარულს მოუტანს, ცოდნას გაუმდიდრებს.

ცოდნის სიხარული ხომ უდიდესი ბედნიერებაა. ცოდნა სიხარულის მომტანია, უცვლელი და მარადიული.

და ჩვენი უბედნიერები ამოხერხებ დავრის მთელ ქვეყანაში და მივაქცე ცოდნა, სიხარული, სათნოებე, სიყვარულა და სიკეთე...  
შეიძალ იყოს სახეს ამ უცხებებით და ამრავლოს ისინი.

ძველი მკითხველი და თანამშრომელი ვესურვებ მას გამარჯვებას.

*კვიციანი*



გაერთიანებული  
ბავშვთა მოძრაობა



მე ბედნიერიბაა მხვს წილად, რომ პიონერული პრესის ჩამოყალიბება-ორგანიზაციაში მიმდებარე აქტიური მონაწილეობა. 1925-1926 წლებში ვიყავი გაზეთ „პიონერის“ რედაქტორი. მთელ გაზეთში შეწყვეტა ახლებობა, მის ნაცვლად დაშვიდა ეურნალი „პიონერი“. მისი რედაქტორობაც მე დამეცალა. პირველ ხანს ეურნალის ტირაჟი 1000 ცალს არ აღემატებოდა. ეურნ-

ბულწრფელად მიეცალა ეურნალ „პიონერს“ მისი არსებობის ორმოცდაათი წლისთაგზე. ეურნალი „პიონერი“ საყვარელია არა მარტო პატარებისათვის, იგი ჩვენი კულტურული ცხოვრების აუცილებელი თანამგზავრი განხა და მის ყოველ ახალ გამოსვლას, შინ ახალ ფურცლებს სიამოვნებით ვეგებებით, სიამოვნებით ვკითხულობთ და ვთვალთქვებთ მას; რამდენი ღამეა სურათია ამ ფურცლებზე, რა კარვად დახატულია! ამ წლების მანძილზე როგორ დაოსტატდა ჩვენი მხატვრობა და როგორ გაიზარდა ჩვენი საბავშვო ილუსტრაცია!

მე სიამოვნებით ვიგონებ იმ შორეულ წლებს, როდესაც მეც ვხატავდი ამ ეურნალისათვის, აბტომის ჩემთვის ყოველთვის ახლობელი, გულთბილად სახაბავი.

გულით მინდა ვესურვო ეურნალ „პიონერს“ კვლავაც ყოფილიყო ჩვენი სახელფავნი ახალგაზრდაების მხატვრული, საყვარელი ეურნალი.



*ქაბუტე*

საბჭოთა ეავრის სახალხო მხატვარი

## მომხარლები

მომხარლებთან მოსაუბრე, ქვეყნით წელგამართული, სად არ მიდის, სად არ მივაქვს სიტბო, სიტყვა ქართული, სად არ მივაქვს სიხარული, მთელი გულით სათმეული, ცოდნის მეტელ ვარსკვლავების ჩაუშქრალი, სათელი.

ბეჭითობა, ფიქრი, ნატვრა მის ფურცლებზე ყვავილობს. მზე ბავშვობას მიღწენდა, მხირად ამბობს მამილო. დაუმცხრალი, დაუღლილი, მირად გაუხუნარი ვის არ უყვარს „პიონერი“, ჩვენი კარგი ეურნალი. სად არ მივაქვს, სად არ მივაქვს სიტყვა წრფელი, მართალი, გოგონების, ბიჭუნების სიყვარულით გამთბარი.



# იუბილუს ბიკოსკვენი



ლის ფერადღებზე ცნობილ საბავშვო მწერლებსთან ერთად თანამშრომლობდნენ პიონერებს მოსწავლეები. მათი თანამშრომლობა აცოცხლებდა, ამდიდრებდა, ამრავალფეროვნებდა „პიონერს“.

„პიონერის“ მთავარი დანიშნულება იყო ნათესა თაობის კომუნისტური იდეებით აღზრდა მუშაობა: ერთნაირი მოთხოვნებით მასალები ამზადებდნენ ხასიათისა და...

მედიკოს დრო გადიოდა, მისი შინაარსი თანდათან ფართოვდებოდა, საინტერესო ხდებოდა. იგი

ფროულად ეპიკურული და ცხოვრების მიერ დასწულ ვეულ სკოტის და ყოველ ამიტომაც მომავალ მუშაობა მოხელარობა.

ეუსურვებ „პიონერს“ მეტი და მეტი სისახელი მიეცა ვიკეტუბინის ზევი ჭეყენისა და ხალხის საკეთილდღეოდ. ალგუარდოს განათლებული, იდეური, ჭანსალი, კეთილშობილი თაობა: კვლავაც აქტიური და მონაწილეობდეს კომუნისტური საზოგადოების ამუშენებაში.

შალვა რადიანი, „პიონერის“ პირველი რედაქტორი.

## მკინალი— გაუფუგოს შეგობარი



„პიონერი“ მრავალმხრივ საინტერესო ექრნა-  
ლია.

ჭერ ერთი, იგი ერთგვარად ავივებს ქართული საბავშვო ლიტერატურის უკმაყოფილობის წიგნის ბაზარზე.

ჩემთვის მავალითად, „პიონერი“ სხვა თვალსაზრისითაც არის საინტერესო, როგორც მუშას, ყოველთვის მაინტერესებდა ისეთი ლიტერატურა, რომელიც ახალგაზრდებს დაეხმარებოდა პროფორენტაციასში, მოამზადებდა მათ შრომითი საქმიანობისათვის. ამდენად მისი როლი მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში განუზომელია. ჩემი ვაჟები თემური და გია, ვიდრე სკოლაში სწავლობდნენ, „პიონერის“ აქტიური მკითხველები იყვნენ. მათ ჭერ კიდევ სკოლაში, სწავლის პერიოდში მისუტრეს მშენებლობებს, ჩაებნენ შრომის საქმიანობაში. თამაშ შემიძლია განაცხადო, ამაში მცირე როლი როდღე მიუძღვის „პიონერსს“. ჩემი ბიჭების მსაფისი ერთმდენია საქართველოში. ჩვენ, როგორც მშობლები და ქურჩაღის მკითხველი, სულითა და გულის კულტურაც „პიონერსს“, მის სარედაქციო კოლეგიას, თანამშრომლებს ნახევარსაუკუნე-ვან იუბილეს.

## მეგობარი



ჩვენი საყვარელი, პოპულარული ქურჩალი „პიონერი“ სახელოვანი წინაპრის ქურჩალი აჭეჭლის“ ნაფუძარზე ამოიზარდა ახალი სიტყვის სათქმელად და სამოღვაწეოდ საბავშვო გზაზე

დამდგარმა ცხოვრებამ საბავშვო სულისკვეთებით ბავშვების აღზრდა დააკისრა და ქურჩალიც მის განხორციელებას პატრიოტული ენთუზიზმით შეუდგა. ყოველდღიურ შრომაში გამოიწრო და განმტკიცდა.

თავისი არსებობისა და შემოქმედებითი მუშაობის ორმოცდაათი წლის თავს ქურჩალი „პიონერი“ დიდად ღვაწლმოსილი ხვდება. მოზარდთა მრავალმა თაობამ მიიღო მისგან მდიდარი სულიერი საზრდო და ესთეტიკური სიამოვნება. ბევრმა ახალგაზრდა მწერალმა ფეხი „პიონერის“ ფურცლებზე აიღია, იხარა

და დავაკეცა. ჩემი საყმაწვილო ლექსების გზის პირველი დამლოცავიც ქურჩალი „პიონერი“ იყო. 1947-52 წლებში თვით ვრედაქტორობდი ამ ქურჩალს. მას შემდეგ იგი კიდევ უფრო გაიზარდა, გამრავალდებოდა.

ეუსურვებ ჩვენს საყვარელ ქურჩალ „პიონერს“, მის მესვეურებსა და თანამშრომლებს ახალ წარმატებებს, ახალი სიმოღლებისაკენ შეუწელებელ სწრაფებასა და გამარჯვებებს.

კიოხი ჯეჭხიძე

3. ბაქმი, სოციალისტური შრომის გმირი.



ტიტოვის ენის აღმჩინებელი ზღვა პლუგოლი და სპ. ვარელი კატარაგისტიის ბავშვთა გულის მენაიფილის, რუსთაველის კრემის ლარაბაის ვაჟკალა მრავლი-შვილის კოეპარი ახილუბაბი. ავირფას მწარალთან შეხვედრა ყველა მათგანისთვის სანაჯარი მცნებაა.



მრავალი სპოველთაოდ ენობილი საბავშვო ნაწარმო-ების ავტორი, საქართველოს სსრ სხალტო კოეტი იოსებ ბრიჭვილი განსაკუთრებულ გულისხმიებასა და სინაზის იმანდა კიოწე-მოს-წაველებს მიმართ. ისინიც, თავის მხრივ, გულითადი სპ-ვარულით უპასუხებდნენ მგოს-სანს.





„კიონარის“ სოფილი რედაქტორი, პრეტი-აქადემიკოსი ირაკლი აბაშიძე, რომლის კალაშხაც გვირგვინი გაუხარებია მოზარდები, მუღამ სსსრკველი სტუმარი პოეზიის სონი მუხარულთათვის.



ღვარდისილი მწერალ მალს მარტიანს გულწრფელი, უთამაშობა სტრუქტურებით არაერთი მოგვაპალი თარობის გულში გაუღვივებია სიამთის, პატროსნების, კადთმთავარობის ფინელა გრძნობები. თავის მკითხველებთან უხმადრა მას ახალი უთარგონებით აღავსავს სულში.

# იუბილს გვილოცვენ



სამარტყველი ბავშვთა უსაყვარლეს  
ქურნალს — „პიონერს“ არსებობის 50

წელი შეუსრულდა... მთელი ნახევარი  
საუკუნე!

პიონერთა რამდენი თაობა აღუზრ-  
დია მას ამ ათეული წლების მანძილ-  
ზე, რამდენი სიხარული და ბედნიე-  
რება მიუტანია თითოეული მკითხველი-  
სათვის, რა დიდი წვლილი გაუდია  
მათი გონებრივი ჰორიზონტის გაფარ-  
თობისათვის, მათი გემოვნების დახვე-  
წისათვის!

რამდენი მწერლის, მხატვრის, ჟურ-  
ნალისტის, სტამბის მუშის და სხვათა  
დაძაბული შრომა, ენერჯია, ცოდნა და  
ფანტაზია ჩაქოვილი ქურნალის ყო-  
ველი ნომრის, ყოველი გვერდის შექ-  
მანში!

ძვირფასო ბავშვებო, დააფასეთ  
თქვეთვის გაწეული ეს დიდი შრომა



## ჯორჯ ჯეოსაძე

პიონერის ყოფილი რედაქტორი.



მუსშრკმბ ქურნალ  
„პიონერს“, უფრო ხში-  
რად გაუხარებინოს მისი  
მკითხველები თანამედ-  
როვე ცნობილ მწერალ-  
თა ახალი საყმაწვილო  
მოთხრობებით, პოემე-  
ებით, ლექსებით... დღე მის  
ფურცლებზე კვლავაც  
დაპურდეს მომავალი ქა-  
რთული საბავშვო მწერ-  
ლობის ჩვილი!

მეგობარი

„პიონერის“ ყოფილ-  
რედაქტორი.

„პიონერი“ ნახევარი  
საუკუნისაა. ძნელია და-  
იჯრო. იგი ჩემს გონე-  
ვაში მაინც ყრმაა, მა-  
რად ნორჩი და უბერე-  
ბელი. რამდენი თაობა  
აღუზრდია „პიონერს“,  
რამდენი ფაფუკი ხელი  
შეხებია მის ფურცლებს,  
რამდენ თვალს ვადაუკი-  
თხავს „პიონერის“ ფუ-  
რცლებზე გაფანტული  
მრავალი კარგი მოთხრო-  
ბა და ლექსი, ზღაპარი  
და გამოცანა...

იყო დრო, როცა მეც  
„პიონერის“ მკითხველი  
გახლდით. შემდეგ კი ბე-  
დმა მარტუნა ათი წლის  
მანძილზე მისი რედაქ-  
ტორი ვყოფილიყავი. დი-  
დი სიამოვნებითა და სი-

ყვარულით ვიგონებ ამ  
პატარა, მაგრამ შესანიშ-  
ნავ რედაქციაში გატარე-  
ბულ წლებს. მრავალი



მარად თქვენი

კეთილი მოგონება შე-  
მორჩა ჩემს მეხსიერებას.

ქვემო მოწიერი

მაგრამ ამაზე სხვა დროს.  
დღეს „პიონერის“ ზეი-  
მის დღეა. ჩემთან ერთად  
ზეიმობენ ჩემი შვილიშ-  
ვილები. სულითა და გუ-  
ლით ვუსურვებ „პიო-  
ნერს“ საუკუნეების მან-  
ძილზე ეშრიალის ქართ-  
ველი ბავშვების ხელში  
და მრავალი სიხარული  
მოეტანოს ჩვენი მოზარ-  
დი თაობებისათვის.  
რედაქციის მუშავებს  
კი მინდა ვუსურვო ყო-  
ველივე კარგი.



# ორმოცდაათი წლის „პიონერს“ ორმოცდაექვსი წლის პიონერისაგან

არაერთი თაობა იყო „პიონერის“ მკითხველი. არაერთი თაობის მწერალმა პირველად „პიონერში“ გამოაქვეყნა თავისი ნაწარმოები.

არაერთი ლექსი და მოთხრობა გადაიბეჭდა „პიონერიდან“ სასკოლო სახელმძღვანელოში.

ერთი სიტყვით: დღემდე „პიონერი“ პირადად ასრულებს თავის მოვალეობას.

ვისურვებდი: კვლავაც მრავალი თაობის მწერალი დაბეჭდოს მას. და, კვლავაც მრავალი თაობა ყოფილიყოს მისი მკითხველი.

*ახსნა მჭკაიაძე*

„პიონერის“ ედიტორადქატორი.

## „პიონერი“ — კლავრალელი

მშრომელი ადამიანისათვის იმაზე სასიხარულო რა უნდა იყოს, მინდორში გასულს ახალგაზრდები რომ ამოვიღებდებიან გვერდში და ჯერ კიდევ გაუ-



ჩემს თმებზე უკვე თოვლია, მაგრამ შენს ხმას რომ ვისმენ, შენ რომ ჩემთან ხარ, მგონია, პიონერი ვარ ისევ!!!

ხელი ჩამკიდე, მატარე, შენი ნათელი გზებით, კვლავ შემავიხრებ პატარებს, კვლავც შემახსი ფრთები!

ფეხს დავეკრავ, მთებზე გადავალ, შუქით მოვიკლავ წყურვილს, ოღონდ მისმე და „მზადა ვარ!“ ჩანვით, ოცნებით, გულით!

დარდმა წუთით რომ დამიპყროს, დარღს გავაყოლებ ნისლებს, — დაე, ქვეყანამ გავივოს, პიონერი ვარ ისევ!!!

*პოლის დოქტორი*

წაფავი ხელებით მარდად დაუტრიალდებიან საქმეს. მახსოვს, სიმინდისა თუ კარტოფილის თონხაში ნშირად გვიმუბუქებდნენ შრომას ჩვენი რაიონის პიონერ-მოსწავლეები. მეც, როგორც მოწინავე შემინდვრე, ვუზიარებდი ჩემს გამოცდილებას პატარებს.

ახლა ჩემი მშობლიური სოფლის, ებოტის კოლმეურნეობის ხელმძღვანელებმა მეცხოველეობის უბანზე გადაამოყვანეს. არც აქ გვეკლებენ ნორჩები დახმარების ხელს, კვლავ იგივე საუბრები, რჩევადაროგებანი და გამოცდილების გაზიარება. და აი, ამ საუბრების მსვლელობაში ნშირად სიყვე-

რულით ასხენებენ პატარები ეურხალ „პიონერს“, კითხულობენ იქ გამოქვეყნებულ საინტერესო მასალებს, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში მოსწავლეთა მონაწილეობის ამსახველ ნარკვევებს, ბუნების მოვლა-პატრონობის თემაზე დაბეჭდილ უამრავ საინტერესო მუხრილს, ჩვენი სასიკაძულო მეცნიერების გამოხვლებს. ერთი სიტყვით, ეურხალი „პიონერი“ ერთგვარად თითქოს შუამავლის როლს ასრულებს მშრომელსა და ახალგაზრდებს შორის. ბავშვების საყვარელი ეურხალი „პიონერი“ აგერ ორმოცდაათი წელიწადია, კაცობის, ადა-

მიანობის საძირკვლებს განამტკიცებს მოზარდი თაობის შეგნებაში. ამ



დიდი იუბილეს დღეს მინდა ვუსტურო კიდევ ახალი წესმატებები ამ საშვილოშვილო მისის აღსრულების საქმეში! **დარი მისაბიოვილი,** თანების ჩაბინის მონაწილე მსვლელები.



მზის ნათელი შუქი მოხავს  
 ეშხით სავსე ჩემ საწყაულს,  
 სიყვარულით მოვილოცავ  
 ორმოცი წლის დღესასწაულს!

გაიზარდე, გაიხარე,  
 და გაშაღე ფრთები ლაღად,  
 შემოევლე მშობელ მხარეს,  
 ინავარდე უფრო მაღლა!

და უმღერე მზეს და ვარდებს,  
 აუევეებულ მთას და მდებლოს,  
 მარად გწამდეს და გიყვარდეს  
 მშობლიური საქართველო!

1966 წ.

მხატვრული სიბავის გამომჩინილი ოსტატი ალიო მირცხუ-  
 ლაშა ერთ ხანს „კომუნალის“ რედაქტორი, ზამთარს კი მისი ერთ-  
 ერთი უახლოესი თანამშრომელი და მუშაკარი იყო. კოლეგა ჩვენს  
 ჟურნალს 40 წლის იუბილე მხურვალედ მიულოცა ლექსით, რომ-  
 ლისავე ხელშეწყობა მთავარჯიშთ მკითხველს.  
 ფოტოგრაფი: ალიო მირცხულაშა მვილიძისფოტოგრაფი

*ა. მირცხულაშა*

ხუთი ათეული წლის მანძილზე ბავ- საზოგადო მოღვაწე დასდო ამაგი  
 რსა მწერალმა, მმსახივრმა, ხელოვანმა, პარტულ სამეცნიერო ჟურნალს. ამ



მეთავებულ ფოტოგრაფიაზე აღგზა-  
 დილია რამდენიმე მათგანი, ისინი, რომ-  
 ლებიც წლების მანძილზე უშუალოდ  
 მონაწილეობდნენ სარედაქციო მუშა-  
 რებაში. თინა ბელიაშვილი (მა-  
 რკვენიან პირველი) „კომუნალის“ რე-  
 დაქტორი პასუხისმგებელი მუშაკის  
 ცოდნასა და მწიგნობის სხვადასხვა  
 დი თემების მკვლევარული სტატი-  
 კვებებით აღზარდის კეთილშობილურ  
 სპეციალ, პარტული საბჭოებში მწერალ-  
 ბის დიდი ამაღლები, რედაქციების წევ-  
 რი ნინო ნაკაშიძე უსაინოხანი  
 გოთხრობებით აშუშენიერებდა „კომუნ-  
 ალის“ ფრგვლას, მსტრვანი კრები  
 ბიორები კატახიძე მმსახივრე  
 თეთური ბუღალთმშობიარია ჩვენი ჟურ-  
 ნალისა; „კომუნალის“ ისტორიაში კეთი-  
 ლი კვალი მტრვას რედაქციის პასუ-  
 ხისმგებელმა მუშაკებმა, ავ განსაინ-  
 ბულმა მწერლებმა დავით შამა-  
 თაშაძე და შალვა გვინიძეებ.

# იყნოს კვილოსკვენ

მე პირველი ლექსი „ნორა ლუინელში“ დავბედე „პიონერში“ რომ მივედი. დიდი ბიჭი ვიყავი. ბავშვობაში არ ვყოფილავი გათამამებელი ილდაქციებით, ბეჭდვით...

ჩემი რედაქცია და ჩვენი მწერალთა კავშირი პიონერთა სასახლე იყო. მე და ჩემს მეგობარს თიარ ჭილაძეს რომ „პიონერში“ ლექსები მიგაგზავნა, პოეტი და რედაქტორი რევაზ მარტაიანი გახლდათ ახლაც ბავშვებით განვიციდი ლექსის დაბეჭდავას და მაშინ რა იქნებოდა! ასე მეგონა, ის ნიჭური, სადაც ჩემი ლექსი იყო დაბეჭდილი, მივლ საკართულოს ჭქონდა წაიკითხავი, ყველა მშობელს. რა თქმა უნდა. ამან ჩემს შემდგომ მიზნებსაც გააღებდა მოახდინა, დიდი პრესისაკენ გამიხსნა გზა.

ერთს განსაკუთრებულს მოგახსენებთ, განსაკუთრებით მისთვის, რომ მძაფრად ჩამონა მესხიერებაში. ვინ რას გავეხებოდავო, როცა პიონერულმძღვანელად მერვეკლასელი გელა გეგავდა, ჩვენი მფარველი, მეოთხეკლასელების მფარველი. ორბივით დაგვტრიობდა თავს.

რაც შეეხება სკოლის პიონერულმძღვანელს, ჩვენი მისი რიდი ვეჭონდა, როგორც დამრიგებლისა, მკაცრი მასწავლებლისა. თუ ვინმეს ნიჭს უნდა მისცემოდა „გზა ფართო“, მხოლოდ და მხოლოდ პიონერულმძღვანელის მეშვეობით, მისი მხრუნველობით.

დედაჩემი მშვენიერ ლექსებს წერდა, ჩემად გულჩათხოვნილად დედა მამჩებდა ლექსებისაკენ, მამჩებდა, მაგრამ არ მათამამებდა, რაც შენი საქმე არ არის, თავი გაანებო, მუხნებოდა, ბუნებაზე წე-

რეო, მთაწმინდის ფერდობებზე, ლულიკოს მამაზე დაწერე, იმში როა წასულიო მეც ვწერდი და ვწერდი მე ერუნალისტი გახლავართ, მაგრამ პროფესია, ეტყობა, ბავშვობაშივე დედამ შემიჩინა, დედამ, ველოაშენის ქალმა

საერთოდ ხზეკუთილ ყნაწვილს ცით მოვლენილი ნათელივით უნდა ესმოდეს სამშობლოს სიყვარული, მის გულსა და სამშობლოს გულადვე გაბმულ უფაქიხეს სხივზე მამულის სვე და და ტკივლი უნდა იყოს ვაფენილი. სიყმაწვილიდან სიჭაბუკევედ დაგროვილ უჩინო სიბრძნე წუთისოფლის სიყვარული გამოჩენს კაცობის ეამს მზაკრობისა და უმცერების დათრგუნვით, სამშობლოს სიყვარულით, ჭეშმარიტი ადამიანები ყალიბდებიან. ასეთ ადამიანებს შეუძლიათ ემსახურონ ჩვენს დიდსა და უღლველ ქვეყანას

მთელი ჩემი ცხოვრება მოხარდა და ახალგაზრდათა აღზრდას ვემახუტებე. 1957 წლიდან, განისხნა თუ არა ეურნალი ცისკარის — ჩვენი ახალგაზრდობის დიდი ხნის ნახატრი ეურნალი, მე „ცის-

კარში“ დავიწყე მუშაობა, შემდეგ ერთი წელი საკართველოს ახალგაზრდული ორგანიზაციების კომიტეტის თავმჯდომარედ მიიწვიეს.

წლების მანძილზე ვრედაქტირობდი ჩვენი ბავშვების პოპულარულ ეურნალ „დილას“ დღეს უკვე ათი წელიწადი მისრულდება, რაც ქართული ახალგაზრდობის ეურნალის „ცისკარის“ რედაქტორი ვარ.

ჩემი აზრით, პოეტი ისევ დავ ემსახურება მოხარდი თაობის აღზრდას, მე კი, როგორც ყველა მასწავლებელი, თავს ვიციად, რომ ჩვენი მომავალი თაობის აღზრდად მე ვარ მე საოცრად მიყვარს სიტყვა მასწავლებელი, სკოლაშიც სიაშითენებით ვასწავლიდი, უმაღლეს სასწავლებელშიც...

ეურნალ „პიონერი“ ეოველთვის დაინტერესებულ ვიყავი, მე მისი მკისხველი გახლდით მუდამ ჩემს გოგონას იგი გამოწერილი აქვს აგერ უკვე




თიხი წელიწადია, მანამდე „დილას“ კითხულობდი

მე ვთხოვდი ეურნალ „პიონერის“ რედაქციას, უფრო გააძლიეროს ჩვენი წარსულის სწავლება. თუმცა ეს ხაზი — პატრიოტიკის, ხანდახან, მაინც ჩანს ეურნალ „პიონერში“ და განსაკუთრებით სასიამოვნოა, რომ ბავშვები ჩვენს დიდ დღევანდლობასთან ერთად ჩვენს დიდ ისტორიასაც გადახედავენ. ჩვენი მომავალი ხომ ჩვენი წარსულიდან იწყება. ეურნალში ბავშვები ტექნიკური მეცნიერების ანბანს სწავლობენ, ესეც ძალიან კარგია. კარგია და მისასალმებელი ბავშვთა შემოქმედებისადმი ესოდენ დიდი ეურნალდება.

ახლანდელ ნორა კორესპონდენტებს ვურჩევ, იკითხონ ბეჭერი, ძალიან ბევრი ეს მთავარია, თუ გვიხილა, რომ ერთა ძმობის სული დავამკვიდროთ ყმაწვილის კონებაში, თვითონ უნდა ვიყოთ ძალზე განათლებულნი. კიდევ, ახლანდელ ნორა კორესპონდენტებს ვუსურვებ მოსიყვარულე გულს, ურობისოდაც არაფერი ქვეყანაზე ხვირიანი და ფასული არ მქვინილა.

წახსენი  
სიყვარული

ეურნალ „ცისკარის“  
რედაქტორი.



**გვერდები**  
**და**  
**კორესპონდენტთა**  
**სიმბოლოები**  
**გვერდები**



ქურნალ „პიონერს“ ჩვენი სკოლის პიონერთა ოთახში ერთი მაგიდა აქვს დათმობილი. ყოველი ახალი ნომრის გვერდით აღრინდელი წლების აკინძული ნომრებიც აწყვიტა. მაგისტანთ მუდამ შენიშნავთ ბავშვებს ზოგს აქ დაბეჭდილი მოთხრობები მოსწონს, ზოგსაც ლექსები, ზოგიც ბოლო გვერდის ჩაქტირებებს, კრისეორადებს ამოხსნა რტაცებს, ზოგიც ნორჩ კორესპონდენტთა ქურნალ „აისის“ მორგე ნომრებს ეძებს... რუსთაველ პიონერებს მოსწონთ იგი.

როცა გავივით, ჩვენი საყვარელი ქურნალი იუბილეს იხდისთ, გადავწყვიტეთ, იგი რაზემუღშიც აღგვენიშნა. დღეფანში განცხადება გაიკრა: „ყურადღებამ! შენს საყვარელ ქურნალ „პიონერს“ 50 წელი უსრულდება, ცხოვრთ რაზემუღის საბჭოს აცნობით, დაბეჭდილი მასალებიდან ყველაზე მეტად რომელი უფრო მიგეწონათ და რატომ?“ თქვენი სურვილები, შთაბეჭდილებები“.

პასუხი უამრავი მივიღეთ. მრავალზე მრავალ წამოწყებათა შორის, რომელიც ქურნალს ამ უპასანგელი წლების მანძილზე ჰქონია, ერთობ საუკეთესოდ „აისი“ მივიჩნიეთ. პიონერებმა შეკითხვაზე პასუხი გავაცეს, რამდენიმეს გადაცნობთ.

„ღერაჲ პირინკაჲშილი“ — „ქურნალ „პიონერს“ ყველა ნომრისათვის თვალდადევნება მას შემდეგ დაიწყეთ, რაც მის დაწერვებზე ნორჩ კორესპონდენტთა ახალი ქურნალი „აისი“ შეიქმნა, ვამზადებ წერილებს რედაქციამა გასაცხავან...“

„მთინეჲ მალაჲშირიჲ“ — „ყოველთვის დიდი ინტერესით ვკითხვობ „აისის“ გამოქვეყნებულ ლექსებს, განსაკუთრებით დამახსონდა თბილისის ექსპერიმენტული სკოლის მოსწავლის ლაშა ნადირაშვილის ლექსები. მინდა უფრო მეტი იბეჭდებოდეს ნორჩ პოეტთა ლექსები.“

„მთინეჲ სისხამი“ — „აისი“ მომწონს, აქ გამოქვეყნებული კორესპონდენტთა წერილები გვასწავლის, როგორ ავიზალოთ მას დისციპლინის დამრტვლეთა წინააღმდეგ, რათა თანატოლთა მიერ დაშვებული შეცდომები სხვებმა აღარ გაიმეორონ.“

...მათი და ლალი ზედელაშვილის,

მარინე ჩუბინიძის, ქეთევან გვეგვიძის, მინანა ჭაჭუკავიშვილის, ნანა ციცციშვილისა და სხვების სურვილები გავერთიანე პიონერთა სურვილებს ჩვენი სკოლის ორივე უფროსი პიონერხელმძღვანელი ვეურთოდებით: გვსურს უფრო მეტი სადისკუსიო მასალა ვიხილოთ ქურნალის ფურცლებზე იყოს მასალები იმის შესახებ, თუ როგორ ვებრძოლეთ მცირეწლოვანთა სამართადარდევებს. გვსურს დაბეჭდოს ნორჩ კორესპონდენტთა მიერ ქართველ მეცნიერებათა, პოეტთაგან, მსახიობთაგან, მუმეზისაგან, კემეზისაგან, კოლომურ-

ებში; ამ დროს პიონერები უფრო ახლის დააკვირდნენ მეტალურგთა პროფესიას, გაივსეს ძნელი, მარტოობის ტერესო, ქვეყნისათვის საჭირო შრომის ფასი რაზემუღი ახლა საკავშირო პიონერული მარშის ახალი დღეწიით — „ნივთივართ ლინისის გზით, ოქტომბრის გზით“ მიაბიჯებს მის სტუდენტებზე — ამ სტუდენტებს ერწმობს რუსთაველ მეტალურგთა ცნობილი მოწოდება — „არც ერთი ჩამორჩენილი და უნიციტობილი ჩვენს გვერდით“. ვფიქრობთ, ამ დიდ საქმეში მეტალურგთა ქალაქის პიონერ-მოსწავლეებს ქურნალი „პიონერი“ მისი „აისის“ კვლავაც მხარში ამოუდგება.

კორესპონდენტთა, მკითხველთა სიმრავლეს ვუსურვებთ ჩვენს საყვარელ ქურნალს.

ათიშან პაუზოშია,  
რუსთაის მე-15 საშუალო სკოლის  
უფროსი პიონერხელმძღვანელი.



**ორი**  
**საკვირის**  
**გვერდები**

1974 წლის ივნისმა დაულოცა „აისის“ გზა, მის პირველ ნომერში დაიბეჭდა ჩემი წერილი მეგობრობაზე და იმ დღიდან მიყვები მას ფესვდებ, მისი სისტემატური მკითხველი ვარ.

„აისის“ იმიტომაც მომწონს, რომ იგი მხოლოდ ჩვენი და ჩვენი თანატოლებიდან არის შედგენილი. ვსაუბრობთ დიხან თუ მჭირე საქმეებზე; ვსაუბროსხმოდ მეჩვენა ბოლნისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის საშუალო სკოლის მოსწავლის მ. ბარათაშვილის წერილი „სხვები მეწულებას გადავაჩვიეთ“. მართლაც რომ საინტერესოა, თუ როგორ გადააჩვიეს ამ სკოლის პიონერებმა მეწულებას სხვები. განა ეს ადვილია? ნორჩი ნატურალისტიკები დამუთანხმებანი, რამდენი შრომა დასჭირდათ, ალბათ, მათ, სანამ შედგეს მიიღობენ. ავიღოთ კოჯორელი ვაჟა მირთაყვის წერილი „თანდობის წყარო“. თუ ბოლნისიელმა პიონერებმა სხვები მეწულებას გადააჩვიეს, აქ ვაჯა თანდობას წყაროს დაძრობაზე უნებს, კეთილ საქმეს კიდევს ხელს, წყაროს ნარგავებით „უმაგრებს“ საძირკვეს...“

ქურნალი „პიონერი“ ლამაზ ოცნებას გვასწავლის, ამაში ნამდვილად ვეთანხმები ეკა ცაგარელს, რომელმაც „აისის“ გამოაქვეყნა წერილი ოცნის სიყვარულზე — „ლამაზ ოცნებებს ვასწავლის“.

მასსოვს, რამდენი ვიკამათეთ მე და ჩემმა მეგობრებმა, როცა 1974 წლის ნორჩ კორესპონდენტთა № 7 ქურნალ „აისის“ ზედიდის პირველი სკოლის

წებებისაგან, მასწავლებლებისაგან აღებული ინტერვიუ.

ჩვენი სკოლა მეტალურგთა ქალაქის სხვა სკოლებს არ ჩამორჩენია. საინტერესოა სკოლის პიონერთა საქმიანობა. ისინი მხარს უსწორებენ რუსთაველ კომუნისტებს, მათგან იღებენ სიბეჯითის, დისციპლინისა და ორგანიზებულ სკოლის მაგალითს, მათ ხშირად შეხვდებით სამჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის დელეგატებთან შეხვედრაზე.

რაზემუღს თავი ისახელა ოპერაცია „თეთრი ფრანსა“ და „მაკ საბადლიში“. ამით უფლება მოიპოვეს მონაწილეობაში მთელი პიონერული ნაწიბობის გამომ-



მოსწავლის ბელა გვასალიას წერილი „მამის ყველაფერი“ წაგივიხთხე. ვიკამათე, თუ რა საფუძველი ჰქონდა ნინოს წუხილს იმის გამო, რომ ძვირფასი საჩუქრით ვერ მიუღოცა მეგობრის დაბადების დღე.

არ შემძლია დავიწყოთ ეურნალის მიერ შეთავაზებული ნორჩ თემურელთა პირველი რესპუბლიკური შეკრების დღეგაგათა წერილები, რომელსაც საერთო რებრიცა ამშვენებდა „აჩუქე ადამიანებს სიხარული!“ დიდი სამართლი ომის ეტერიანთა მოგონებები, ბამის მწინებელთა ქართული ნორჩი მეგობრების საქმიანობა და სხვა. დამახსოვდა თბილისელი გიორგი კვიციანიშვილისა და მანანა ჯალიაშვილის ლექსები, გოჩა ფიჩხაძის, თინათინ ცხადაძისა და გვა აბულაძის ნახატები: „სელორობოლა“, „აიწონა-დაიწონა“, „სიფილი“. ეს იმიტომ გავიხსენე, რომ უბილეს დღეს გავლილ წლებს იხსენებენ ხოლმე ჩვენი „აისის“ ეურნალის ბიოგრაფიის ერთ-ერთი საინტერესო ფურცელია.

საიუბილეო იღებს „აისმა“ მინდა ორი სურვილიც შემინსრულოს. — ვიმსჯელოთ და ვიკამათოთ მომავალ პროფესიაზე, ხელოვნების სიყვარულზე თუ ამ თემაზე წამოიწყება საუბარი, აქტიურ მონაწილეობას მივიღებ.

დათო მარდოსანიძე,

თბილისის 87-ე საშუალო სკოლის  
მონაწილე.

**გვიხსიამოვნოა**  
**პიონერთა**  
**თხოვნა**  
**არის**

თუ მოითხოვენ, შენი საყვარელი ეურნალი რომელიაო, უკოყვამხოდ ვუპასუხებ, „პიონერი“-მეთქი!

უკვე კომკავშირელი ვარ, მაგრამ მოუთმენლად ველი ეურნალის ყოველ ახალ ნომერს. განსაკუთრებით ნორჩ კორესპონდენტთა ეურნალი „აისი“ მიტაცებს. აქ გამოქვეყნებულ ნორჩ შემოქმედთა ლექსები და მოთხრობები მომწონს.

ჩვენს ოჯახში პოეზია ბატონობს. ეს დედის მადლია. დედაჩემი, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი ქსენია კორძაია, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელია, აფხაზეთში მას კარგად იცნობენ ჰოდა, ხშირად ის მასწავლებს ხოლმე ეურნალ

„პიონერის“ ახალი ნომრის წაკითხვას. ნახსოვს, ჯერ ის ნომერი წაკითხული არ მქონდა და თელაველი თამარ კოლელიშვილის ლექსი „მირზა ველოვას“ შეპირად მითხრა. მე და დედა შინ ხშირად ვეკვირვებით ერთმანეთს მირზა გელოვანის და ლალო ასათიანის ლექსების კითხვაში.

მე უკვე განსაზღვრული მაქვს მომავალი პროფესია, დედანაც და ლიტერატურის მასწავლებლობაზე ვოცნებობ. ჰოდა, შინდა „აისის“ ფურცლებზე მასწავლებლისად მიძღვნილი ლექსები, მოთხრობები, ნარკვევები ვიკითხო.

ჩემი რაიონის პიონერ-მოსწავლეთა სახლით წარმატებას ვუსურვებ ნორჩ კორესპონდენტთა ეურნალ „აისის“ მსურს უფრო მეტი დაიბეჭდოს აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის პიონერთა საინტერესო სტუდენტთა... ეს არა მარტო ჩემი, ცხვიპირების ყველა პიონერის თხოვნაც არის!

ნანა აბუბარდია,  
გალის მე-5 საშუალო სკოლის  
მონაწილე.

**კორესპონდენციას**  
**ჩვენი**  
**გამეზაუბ**  
**გაპოვებგვანი**

ძვირფასო რედაქციავ!  
ამ წერილს რაზმეულის პიონერთა

დავალეებით გიგზავნი. პირველ წერში იუბილეს გილოცავთ. ეურნალის დღესასწაული ჩვენი შეიმთხვევრეს უკვე ეურნალ „პიონერის“ ამტკბერს მკვეყნებოთხელია რაზმეულის თითქმის ყველა პიონერი. რაზმეზას და რგოლოში ხშირად ვაწყობთ ეურნალში გამოქვეყნებულ წერილებს განხილვას.

„მეყავა კითხვა და ამ კითხვამ გადამარჩინა“, ამბობს ერთ ლექსში პოეტი იოსებ გრიშაშვილი. ეს სიტყვები ჩვენი პიონერების დევიზია, წიგნის სიყვარულში ვეკვირვებით ერთმანეთს. თვეში ერთხელ რაზმეზში ეურნალის ახალი ნომრის მიღების ერთი კვირის შემდეგ მის განხილვას ვაწყობთ.

რაზმეულის საბჭო ყველა პიონერს ურჩევს, ვინაც ამის სურვილი და შესაძლებლობა ექნება, ხშირად გაგზავნოს წერილები „პიონერის“ რედაქციაში „აისის“ მისამართით.

საბჭოთა კავშირის გვირგვინი ივანე დემეტრაშვილის სახელობის რაზმეულისა და რაზმეების კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიის წევრები, ნორჩი კორესპონდენტები „აისის“ კორესპონდენტ ულუოცვენ ეურნალის დაარსების 50 წლისთავს და შემოქმედების წარმატებას უსურვებენ ყველას, ვინც მისთვის წერილის, მოთხრობის, ლექსის, ნახატის, იუმორის გაგზავნას დაიხარება.

თეთრიწყაროს აკადემიური საშუალო სკოლის რაზმეულის საბჭო.



ფოტო 3. გორისანამოსი

# მეღა ჯიონეზი

რ ღ ღ მ ნ ქ ო რ ქ ი ა

1975 წლის სექტემბერში ფოანის მე-7 საშუალო სკოლის პიონერებმა შეხვედრა მომიწყვეს. შეხვედრა განიხილა სკოლის დიდ დარბაზში. დარბაზი მორთული იყო დროებით, პლაკატებით, ყვავილებით. გარდა მოწვევებისა და პედაგოგებისა, იყვნენ მშობლებიც.

დიწყო შეხვედრა. ბევრი რამ ილაპარაკეს ჩემი მოთხოვნების გამოხატვის შესახებ პიონერებმა, ძალიან სპირტერესო იყო კომპაზიციული სატაქი იმის შესახებ, თუ რა ხდება ამაჲდ ფოთში, როგორ მენდობა იგი, როგორ მოაწყობს დამშრალ მიწაზე ახალი თაობა ახალ ცხოვრებას. თვალათოვლ ვხედავდი, რა ძლიერი პედაგოგიური კოლექტივი პეოლის ამ სკოლის და რა პატრიოტიული იზრდება ამ ავთო სკოლაში ჩვენი შემცველი მომავალი თაობა.

შუბე უჲანა რიგებში ჩოჩქოლი ატყლა.

— გამოშვით, გამიშვით! — მოისპა ხმა.

— ვინა ხარ შენ?

— მე სანდრო ვარ! სანდრო! გამოშვით!

— სად მიდიხარ? არ გაგიშვებთ! აქ წერალთან გვაქვს შეხვედრა!

— გამიშვით! მე სწორად იმ მწერალთან მივდივარ!

დავიტერესდო. მივიხედ-მოვიხედე და გამოვიკირა. რომ ჩემად ისინდნენ და ტბილად ილიმბოდნენ ფოთის საქალაქო საბჭოს აომასკომის განათლების განყოფილების გამგე აკაცი ცხადაია, სკოლის დირექტორი ვლიყო ზერაგია, ჩემი ძველი მეგობარი — ახათლების განყოფილების კონსულტანტი პიმენ ნაცვლიშვილი, სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე მელდე ბაბტაძე, გარაკვირდა, რომ ხმაური სულ მატულობდა, ესენი კი ჩემად იყვნენ. წამოვდექი და წესრიგის დამცველებს ვთხოვე:

— გამოუშვით! რა საქმე აქვს? ვინ იის?

გამოუშვეს ხმაურის ამტენი, ვხედავ: მოდის კობხად თმადვარცხნილი, პირსავტი, წითელყელსახვევიანი,

ლამაზი ბიჭუნა. ხელში პატარა შეყვრა უჭირავს. მომიხლოვდა, რამდენსაჲ ნაბიჯზე გაჩერდა და მითხინა:

— ძვირფასო მწერალი, მე ვარ სანდრო, ის სანდრო, თქვენ რომ თქვენს მოთხოზობა „წამალი“ ასწეროთ... მე გამოვინილი არა ვარ! მართლა ვიყავი ანმდვილი ბიჭი. დედა მყავდა ავად და ფოთიდან ჭალადმე, ბებელ დამეში წამალი ჩავუტარი ავადმყოფ დედას, აი ეს წამალი..

აქ სანდრო შეჩერდა. შეყვრა გახსნა. შუშა ასწია და თქვა:

— მე მოვარჩინე დედას. თქვენ კი, საყვარელო მწერლო, მადლონა, რომ ისე ვიყვართ პიონერები, როგორც მე დედა!

იკრილა ტაშმა. მე გული ამიჩუხვდა. ბავშვი ჩავიხუტე და გადავკოცე.

ასე განასახიერა ჩემი მოთხოზობა

„წამალი“ მეხუთე კლასის მოწვევამ, პიონერმა რაულ გეგაძემ გულწრფელად. შთაბრძნული ტრსტულად... მედეა ბაბტაძე მშვიდად განაზრობს:

— ახლა სიტყვას ვაძლევე როდინს სწორების ცოხხალ გმირს ბატონ შოთა ქანთარიას.

წამოვდა მიალი, ახოვანი, ლამაზი სახის კაცი. ასე თქვა:

— როცა კოხტეთის ჭაობს აშრობდნენ ყორაში, მე პიონერი ვიყავი. ვხედავდი: მუშები, ჩვენი მამები, წელამდე ჭაობში იდგენენ, გაჰყავდათ გზები, დამალ წყალს არხებში უშვებდნენ. პრიდნენ ტყეს, ძირკვავდნენ ხეებს, ნაშალ ტოტებს ბილიკებით ათრევდნენ. მუთორმეტე პიონერი შევიგროვე ჩემს სოფელ ხორგაში და მოვიყვანე ყორაში მამების დასახმარებლად. ნაშალის გასათრევეად. ხეებსაც ვკვრიდით, ახა რა გვინათ!..

დარბაზში მხიარულმა სიცილმა გაიშრალა.

— ჰოდა, ეს ყველაფერი ნახა მწერალმა და მხატვრულ ნარკვევში ასახა. დაიბეჭდა გაზეთ „ლოტე რატურელ საქართველოში“. მე მამის 13 წლისა ვიყავი. ახლა კი ექიმი ვარ, ფოთის საქალაქო საავადმყოფოს დირექტორი... და იმასაც



ვეტყვი, რომ როდის ქორეის ლიტერატურული გმირი გახლავართ!..

ისევ შეუხარე ტაში...  
კლავ ისმის მედეა ბახტაძის ალერსიანი ხმა:

— სიტყვას ვაძლევ ჩვენი სტუმრის მეორე ლიტერატურულ გმირს ბატონ ალბე გვიჩისა.

წამოდა კოხტად ჩაქმული კობტა ცაკი ცოცხალი, მეტყველი თვალით გადახედა დარბაზს, დააკვირდა პიონერებს. ეტობა, შეჩვეულია აღდგომის ყურადღების დაყრბობას. მამინვე როდი დაიწყო სიტყვა, დაუცდა, სანამ ყველამ გაიფიქრა: „აბა, გიამენ! დაიწყო!“.

და ალიმბა დაიწყო:

— ჩემი სოფელი სავეჩიოა, ქალაქი, სამამულო რომ რბოდა იწყო, ყველა ჩანსალი ვეაკი ოში გაიკრივდა. დარჩნენ ქალები, მოხუცები და ჩვენ. პიონერები, პიონერებმა გადავყარეთ დახმარებოდათ სამშობლოს დამცველთა უმამაკაციო დარჩენილი ოჯახებს არავითარ შრომას არ ვარიდებოდით, პირადად მე მამაჩემს ურემში შევებადი ხარებს, წავიდოდა ტყეში და გამომიხნდა ფრანგული ოჯახებისათვის მოკრილი შუშა. ერთ დღეს, როცა შემთ დატვირთული ვიყავი მომყვად ტყიან, შემხედვინებ პატრეცეული მურალი და ჩვენი კოლმეურნების თავმჯდომარე კიტუ ოლოვა. თავმჯდომარე უთხრა შენგას: აი ეს პიონერი ეხმარებოდა ფრანგულთა ოჯახებს. შენგასმა ჩაიწერა ჩემი სახელი და გვარი, თან გამესაუბრა... გავაღმტყორჩინე ხანი და ფოთის ვახუთ „ახალი კოლმეთში“ წავიკითხე ხარჯვენი... ალბე გვიჩისა. აი ეს პიონერი, ალბე გვიჩისა გახლავართ მე... მამონ პიონერი უყვება, ახლა ეს ფოთის თეატრის მახლობი გახლავართ! და მარტო სცენაზე როდი ვარ გმირი, არამედ ლიტერატურაშიც... თქვენს ვისურვებთ გახდეთ ჩვენი დიდი ცხოვრების გმირები, ასახელოთ თქვენი სკოლა და პიონერული ექსპანსიები...“

შხარულმა ტაშია უფიქრა...  
შერე ის იყო, შეიქცაველულმა ნინო ტელეშმა მეთელი ექსპანსიევი გამოკეთა და ამ სკოლის საპატრიო პიონერად გამოამცხადა.  
ასე შევხვდით ერთმანეთს მე და პიონერები: ზოგა — გმირები წარსულში, ზოგე — გმირები მომავალში.



# თქონერ უნეს პიონერი საგაგაიოთონი!

ყურადღება!  
ჩვენი პიონერული კლუბის მორიგ შეკრებებს დედაქალაქის ლენინის რაიონის მე-8 საშუალო სკოლაში ვაწევრობ...  
... მაგიდაზე, რომელსაც პიონერული აქტივის სასურბოდ შემოუსდებდა, ნორმ მხარეთმცოდნეთა წრის ხელმძღვანელის ს. ხარვალიძის მიერ შემოთავაზებული ალბომი დღეს ალბომში მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებით 31-ე რესპუბლიკური კონფერენციისათვის მომზადებული თემა „გმირებისაგან ვიღებთ მაცაღისს“ ბელადის სახელობის რაიონის ადამიანთა ცხოვრებას ასახავს.

„სოციალისტურ შრომისა როდი ემინა...“ მე ვიტყვ, რა არის შრომა, ეს არის წყარო ყველა სიხარულისა, ყოველივე სიკეთისა ქვეყნად... უნდა შევცინოთ, რომ შრომით შემოქმედებაა... მაცვამ გრკის ამ სიტყვების შემდეგ იწყება საინტერესო თხრობა სოციალისტური შრომის გმირ ეთერ სოლომონისა, მუდელ კონსტანტინე ილურიძის, თბილისის სატვირო სადგურის პირველი ორთქლმალის ბრიგადის შემდგენელი ორთქლი ფოცხვერაშვილის, ელმავალ-მწებრელი ქარხნის ამწობი სამშრომის ზიგლის აწ გარდაცვლილი, ვასილ პაპინაშვილის, ფოლად-თუჯასხმელი ქარხნის საუკეთესო ბრიგადის გიორგი კურტაძის, ვასილ ბორადაცის — ფოლად-თუჯასხმელი ქარხნის მუშის, გრიგოლ ბოგვერაძის, შოთა ფირ-

ცხალავს — კიროვის სახელობის ჩარხსამწებელი ქარხნის მუშავე ვახუთის №1 სატვირო უკვებრქმნაქმრტო საარამის მძღლის ვახანგ ემნადის ცხოვრებაზე. ქვესათარები „ფეიქარი აღზრდის სამსახურში“, „ქართული სტანდელი“, „შრომის მადლით“, „თავდავიწყებული ხალხის სამსახურში“, „ქიზრების დასუფავად“, „თანამომწვეთან შრომის ფერხულში“, „იღწვის მშრომელთა კეთილდღეობისათვის“, „ცხოვრების გულში“ აცნობას მეთიხველს თითოეულის ცხოვრებას აქ მათთან შეგობობის სიხარულით არის სახეე პიონერული რაზმი, მთელი რაზმეული.

თბილისის მე-8 საშუალო სკოლა წლების მანძილზე აქტიურად მონაწილეობს მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციებში. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეჯის ერთ-ერთ გადაწყვეტილებამ აღნიშნულიც არის მათ მიერ სასკოლო კონფერენციის მომზადება-ჩატარების კარგ გამოცდილებაზე.

ბავშვები ამბობენ: კონფერენციის ნორმ ლიტერატურით, მათემატიკითა, ფიზიკოსთა, ქიმიკოსთა, მხარეთმცოდნეთა, გეოგრაფთა, ბიოლოგთა, ფსიქოლოგთა, მხატვართა თუ მოუხვებთა სექციებში მონაწილეობა ხელს გვიწყობს პიონერული მარშის სვლაეფებით სიარულში. კონფერენციისათვის მზადდება, შედარების დახმარებით, სკოლის კომპაგნიის კომიტეტი და რაზმულის საბჭო უდგანან სათავეში; მათ არ აკლანა რაიონის ფარეკა-კარხნებში მიმშედე საუკეთესო ადამიანების, სოციალისტური შრომის გმირების მზრუნველობა.

პიონერული აქტივის წრთობის საუკეთესო სკოლად უფროსების დავალებებისაში თითოეულის გულისსმეირი დამოკიდებულბა, ნორმ პიონერთა კარხნებისა და საზეიმო დაპირების უნაკლად შესრულება მიჩანათ. ეს კი კონფერენციის სექციურ სხდომებში აქტიურ მონაწილეობაში, სკოლის საბრძოლო დღეებისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმისათვის ექსპონატების მომზადებაში, ადამიანებთან შეგობობაში, მომქმ რესპუბლიკათა ცხოვრების შესწავლაში გამოიხატება...

რაკი გავიგეთ ამ სკოლაში კომკავშირის კომიტეტი და რაზმულის საბჭო ერთობლივად, გააზრებულად მუშაობენ, აქტივთან საუბრის გაძლიერება სკოლის კომკავშირის კომიტეტის მდივანს მანანა არაბულს დავავალეთ.

მანანა აღრე, წლების მანძილზე თეთონ იყო რაზმულის საბჭოს თავმჯდომარე, რგოლის ხელმძღვანელი და რაზმის საბჭოს თავმჯდომარე. სწავ-

5406



# ქართული ჰომოტეია

## „ჰომონიუს“ უპრესტრუქცია



ზიონურები ქართველნი  
ნიკოლოძე

### ზიონური, იყავ ღირსი

პიონერო, იყავ ღირსი  
ახალ ყოფა-ცხოვრების,  
შენ ხანა არ გაგივლია  
ჩველი გამათხოვრების.  
მასამ აბოპტერგულმა  
ის პორკილი დალწა,  
რომ ნისლებს არ დაებურა  
შენი გამჭვირვალე ცა.  
ბრძოლამ ძველი ზამთრის სუსხი  
დაუნდობლად შულახა,

რომ ნამდვილი გაზაფხული  
შენთვის გადაენახა.  
თოვლიც გაღნა, ველად გაჩნდა  
იისფერ იის ღერები,  
გაზაფხულის ეს მზადმყოფი  
ნორჩი პიონერები.  
მშენებლობა მოდის ქვეყნად  
ჯერ რომ არსად ნახულა.  
პიონერო, ეს დღეები  
შენთვის გამოსახულა!

*გიორგი* 1962 წ.

### ზიონურულ

ჩვენი შრომა, ჩვენი ბრძოლა,  
ჩვენი ჩანგის სიმთა ვლერა,  
თქვენთვის გვინდა, მომავალსო,  
თქვენი ვარდის გასაშლელად  
ვით ჩვენ ვიბრძვით მამაცურად,  
თქვენ აშენებთ ისე მტკიცედ,  
და ის დრომა ასწით მალდა,  
რომელიც ჩვენ დაიფიცეთ

*გიორგი* 1945 წ.



### ზიონურულ

ჩემთან უოველ შეხვედარაზე  
მთავაზობდით ვარდებს, იებს,  
საპატიო პიონერებს,  
თქვენ მრავალჯერ ამირჩიეთ.

გისურვებდით მუდამ იუოთ  
ჩანსალი და ბედნიერი,  
თქვენს თვალებში სულ ბრწყინავდებ  
საქართველოს მშის იერი.

შეც ხომ ხშირად მამშვენებდა  
ალისფერი ყელსახვევი,  
თქვენს გულლია სიხარულსა  
უნებლიეთ შეც ავყევი.

შეც არასდროს ჩამოგრჩებოთ,  
სანუჯვარებს, ჩემს პატარებს,  
შე თქვენდამი სიუვარულის  
კოცონს გულით დავატარებ.

*გიორგი* 1964 წ.

მოდიან,  
მოიმღერიან  
მალხაზი პიონერები,  
გოგონები და ბიჭები,  
ერთურთზე მშენიერები!  
მოდიან, მოწვრიალებენ  
ბრძოლის პანგების რხევითა,  
წითელი დროშის ფრილით,  
წითელი ყელსახვევითა!  
— იყავ მზად! — ისმის ხმამედგრად  
ბრძანება წინამძღოლისა;  
— მზადა ვართ! — გრგვინავს პასუხი,  
როგორც დაფდაფი ბრძოლისა!  
და ასე მოყიფინებენ  
ახალგაზრდული ღებნითა,  
წითელი ყელსახვევებით,  
წითელი დროშის ფრენითა!

*გიორგი* 1952 წ.

### სიუჟარი ზიონურულთან

— სამშობლოს ყვავილებო,  
საცვარელო ბავშვებო,  
ახლად ფრთაგაშლილებო,  
გოგონებო, ვაგებო!  
ერთი აქ შემომხედეთ,  
რამდენი ხართ რამდენი!  
სწორად დროზე მოხვედით!  
კარგ დროს დაიბადენით.  
ცა ლაფვარდის მფლოა,  
მიწის პირი ფართოა,  
თქვენი სამფლობელოა,  
თქვენი სანავარდოა.  
დიდხანს აღარ იცლიან,  
დიდხანს აღარ დგებიან,  
ხელებს მალდა იწვდიან,  
ოთქოს მუხუნებია:  
უქმად ჩვენ არ მოვიცდით,  
წინ გვიძებსო გზა ფართო,  
სწავლისა და ბრძოლისთვის  
ჩვენ ყოველთვის მზად ვართო!

*გიორგი* 1919 წ.

# \* ზეპითაჲ ქიჲრობითი \*



პ ა მ ე ს ს კ ო რ ტ რ ა მ ი.  
ჯ ა შ მ ა რ პ ა შ ა მ ი მ, 11 წ ო ს.  
თბილისი ნა-ე საშუალო სკოლა.

ხუცუნებელმა მოსწავლეებმა ზაფხულის არადღეგებზე შეუპოვად ვიწრომით. ვაეების ჭვეფმა 22 ჰექტარი ციტრუსებისა და ჩაის პლანტაციის გათხნა ივალდებულა, გოგონებმა კი 10 ტონა ჩაის ფოთლის მოკრეფა ვიკისრეთ. ჩვენს ჭვეფს, რომელიც ხუთ რგოლად იყო დაყოფილი, მასწავლებელი მანანა აბაშიძე ხელმძღვანელობდა. ბრიგადირად მე ამირჩიეს. რგოლებს შორის სოციალისტური შეჯიბრება გაიშალა. თითოეული ჩვენგანი დღეში 40-45 კილოგრამ ჩაის კრეფდა. საბოლოოდ ნაკისრი გემმა გადაჭარბებით შევასრულეთ. თავდადებუ-

ლად იზრომეს ვაეებმა. ჩვენი ზეპითი მუშაობის ამბავი გასცდა ხუცუნებს. გვესტუმრნენ კინო და ტელესტუდიიდან. კომკავშირის ქობულეთის რაიკომმა მადლობა გამოგვიცხადა და სამახსოვრო საჩუქრებით დაგვაკვილოვა.

გვიხარია, რომ ჩვენი წვლილი შევიტანეთ მეთუ ხუთწლეულის პირველ წელს რესპუბლიკის მიერ ხარისხიანი ჩაის ფოთლის დამზადების გეგმის გადაჭარბებით შესრულებაში.

მანანა ცაიხლაძე,  
ქობულეთის რაიონის ხუცუნების  
საშუალო სკოლა, IX კლასი.

## ანაკლია

### ჩ ა ნ ა ს ა ბ ი

ამას წინათ ანაკლიაში ორიოდ დღით სტურად ვიყავი ნათესავეებთან. წვიმიან შაბათს მზინი, კამკამა კვირა დღე მოჰყვა. ნასადილეს სხეებთან ერთად მეც ზღვას მივაშურე. სანაპიროზე ბევრ ადგილობრივ მცხოვრებს მოეყარა თავი. ყველა თავისებურად ერთობოდა.

ვიდეკი და ზღვის უკიდგანო სივრცეს შევხაროდი. მოვიხედ და ჩემს მახლობლად მჯდარი თეთრწყერა მოხუცი დავინახე. ანესი გადაეგრო ზღვაში და ფიჭვმორიელი დასავლეთისკენ პორიზონტს ვასცქეროდა.

რატობდაც მომინდა მასთან გასაუბრება.

— ბაბუ, რატომ ჰქვია ასეთ ლამაზ ადგილს ანაკლია? — ვკითხე მორიდებით.

მოხუცმა ამომხედა, დამაკერძა და, ერთხანს დუმდა, მერე თქვა:

— ბევრი ტანჯვის მომწერია, შვილო, აქაურობა. ძველად ამ მხა-

რეში თურქები თარეშობდნენ, ლამაზ ასულებსა და ბაეშეებს იტაცებდნენ, თავიანთ ქვეყანაში მიჰყავდათ და ჰყიდდნენ. იყო უსასო მითქმა-გოდება გატაცებულთა მშობლებისა. ამიტომ ხალხმა ამ მიღამოს ანაკლია — გამოტრებული ადგილი დაარქვა.

მოხუცმა მწარედ ამოიოხრა. მეც ვული დამეთუთქა.

ვიდეკი ზღვის პირას და ვფიქრობდი: „რაოდენი ბედნიერებაა, რომ ყოველივე ეს არასოდეს განმეორდება. უკვე რა ხანია ვაქრა ჩემს მიწა-წყალზე მოძალადეთა თარევი — საბუთთა მესაზღვრეები მტკიცედ იცავენ ჩვენს მშვიდობიან ცხოვრებას“.

ფიქრებიდან ზღვის პირას დამსვენებულმა მხიარულმა ქრიაშულმა, უღარდელმა სიცილ-კისკისმა გამომიყვანა...



### რ ი მ ი

მზე სხივთა კონას უგზავნის ციდან, ქარი კი ქოჩორს უფარცნის ნახად. რა მდიდურად გაშლილა წელში, მიედინება წყნარად და ზანტად. ზოგან კი ფაფარს აიყრის უცებ, ვეღარც კი იცნობ ისე შმაგდება: ჩაიკუბრება, ვეება ზვირთებს მოათამაშებს, ნაპირს აწყდება. ერთგან საეთის ტვერი დარღლიაფს, სხვაგან ლეატობს მინდვრის სურნელი, აჭრელებული ყვავილთა დასი, ჩამოშტიკალი მასზე ურთხმელი. როგორც სიცოცხლის ღიადი სწობოლა, როგორც სიცოცხლის მძღვარი

შეგრძნება, მოათამაშებს რიონი ტალღებს, რიონი მკერდით ლოდებს ესლება.

### ნანა ზარმაშა,

წალენჯიხის I-ლი საშუალო სკოლა, VII კლასი.

### გიკა კვალაიშვილი,

თბილისის 51-ე საშუალო სკოლა, IX კლასი.

# ბუნება



წარმომადგენელი  
ს. მ. მ. მ. მ.

წილი კონსტანტინე ანდრონიკი № 12

შემოდგომის მშვენიერი საღამო იყო. ბავშვები ბურთს თამაშობდნენ... ამ დროს რუს მახლობლად ფრთამოტეხილი მერცხალი დაეცა და საცობდავად აუჩქევია. ბავშვებმა ბურთაობას თავი ანებეს და მერცხალს შემოეჩვივნენ. პატარა გიორგიმ ფრთხილად აიყვანა ხელში, მოეფერა და ამხანაგებს უთხრა:

— ალბათ ქვე თუ ესროლეს... უნდა მოვარჩინოთ, თორემ თბილ ქვეყანაში ვეღარ გაფრინდება.

— გიორგი მართლს ამბობს, — თქვა პატარა დიტომ.

— უნდა მოვარჩინოთ, — აპყვენენ სხვა ბავშვებიც. თითქმის მთელი კვირა უვლიდნენ ბავშვები, როდესაც მერცხალს ფრთა მოუშეშდა, გალიის კარები გაუღეს და გაუშვეს.

უსაზღვრო იყო ბავშვების სიხარული, როცა მერცხალმა ფრთა ფრთას შემოაქრა, სულ ხუვით, ცის კამარაში აფრინდა და გაუჩინარდა.

ნახანა ბავშვშილი, ონის 1-ლი საშუალო სკოლა, IV კლასი.

## ზამთრის ზღაპარი

